ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723184001
თარიღი:03/07/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N- 06

მიმდინარე წლის 27 ივნისს ჩატარდა ლენტრხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომა ესწრებოდა ბიუროს 13 (ცამეტი)წევრი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო მორიგი დღის წესრიგის პროექტი:

1. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.

/მომხს. გ. გაზდელიანი/

2. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის განხილვა.

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

/მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მევლუდ ლიპარტელიანი/

3.საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების დღის განსაზღვრა.

მომხს. გ. გაზდელიანი/

ბიუროს სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

1. **მოისმინეს: ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

   1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს საფინანსო კომისიის თავ-რე ლამზირა გუგავა/

   2. **თანხმობის მიცემაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წინადადებაზე, ლენტეხის რაიონის მაცხოვრებლებზე - მედეა ონიანზე (პ/ნ 27001001045), ჯენეტო ჭელიძეზე (პ/ნ 27001005512) და ხანდაზმულ გოგუცა ავალიანზე (პ/ნ 27001004934) ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახმარების გაცემის შესახებ.**

/მომხს: მერიის საზ.ჯანმრთლობის და სოც.დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

   3. **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიაში ცალკეულ ადმინისტრაციულ**

სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის ხელ-ლი ტარიელ აფაქიძე/

4. მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ლ. ლიპარტელიანი/

5. მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გ გულბიანი/

6. სხვადასხვა.

შენიშვნა სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა

ღია კენჭისყრით მომხრე -13

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

2. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს სახელმწიფო აუდიტის ანგარიში და საკრებულოს მიმართ დაფიქსირებული რეკომენდაციების მიხედვით მომზადებული მოსსენებითი ბარათი საკრებულოს მიერ გასატარებული ღონისძიებების თაობაზე:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში (N-00317418. 05/06/2023 წ.) საკრებულოს საქმიანობაში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ავტოპარკის მართვის ხარვეზებთან დაკავშირებით - ავღნიშნავთ, რომ მიმდინარე წლის 15 ივნისამდე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჰყავდა მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც იყო საკმაოდ ძველი და ამორტიზირებული. შესაბამისად საკრებულოს თანამდებობის პირებს სამსახურეობრივი დავალებების შესასრულებლად, გაანსაკუთრებით მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე მონიტორინგის განხორციელებისათვის მუდმივად სჭირდებათ ტრანსპორტი და სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა საკრებულოს თანამდებობის პირების კუთვნილი ტრანსპორტის დაქირავება და გამოყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის რთული რელიეფიდან გამომდინარე დაქირავება ხდება ჯიპის ტიპის ტრანსპორტის. მიმდინარე წლის 15 ივნისიდან საკრებულოს დაემატა ერთი სატრანსპორტო საშუალება, ძველი ტრანსპორტიც გარემონტდა და დამატებითი საჭიროების შემთხვევაში ოფიციალურად გაფორმდება ხელშეხრულებები კერძო პირებთან ტრანსპორტის დაქირავების თაობაზე;

2. პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 30 დეკემბერს დავამტკიცეთ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების 2020 წლის თანამდებობრივი სარგოები 10% -იანი მატებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციიდან მოგვცეს შენიშვნები, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირების სახელფასო სარგოები არ უნდა აღემატებოდეს 2017 წელს დადგენილ სარგოებს. შენიშვნები გავითვალისწინეთ და 2020 წლის 31 იანვარს აღნიშნული დადგენილებაში შევიტანეთ ცვლილება. შესაბამისად გასწორდა თანამდებობრივი სარგოები, მაგრამ პოლიტიკური თანამდებობის პირების ერთი თვის ხელფასი 2020 წლის იანვარში დაირიცხა მატებით, რაც შეადგენს 3,1 ათას ლარს.მერიის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით დავსახავთ სამართლებრივ გზას ამ ხარვეზის გასასწორებლად.

3. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობის ზღვრის დარღვევის საკითხზე ავღნიშნავთ, რომ საკრებულო ითვალისწინებს სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციას და შესაძლებლობის ფარგლებში შეეცდება ამ ხარვეზის გასწორებას;

4. **საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზრაურებული ხარჯის თაობაზე მოგახსენებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით მიმდინარე წლის 1 ივნისიდან საკრებულოს წევრებზე ხარჯების გაცემა მოხდება საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც ამ მოხსენებით ბარათს დაურთავს აღნიშნული წევრების საკრებულოს და კომისიების სხდომებზე დასწრების ფურცლებს და საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრის დოკუმენტებს;**

5. **საინფორმაციო მომსახურების შესყიდვის ხარვეზთან დაკავშირებულ რეკომენდაციას გავითვალისწინებთ მომავალში და თავს შევიკავებთ მსგავსი ტიპის პროგრამების შესყიდვაზე.**

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა- რაღაც დეტალები კიდევ დასაზუსტებელია, მაგრამ საერთო ჯამში მომზადებული პასუხი მისაღებია. საკრებულოს მორიგ სხდომაზე უნდა მოვისმინოთ მერიის მიერ მომზადებული პასუხები შესაბამის რეკომენდაციებზე.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

სხდომის თასვმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს მიაწოდა წინადადება - საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 28 ივნისს დღის 12 საათზე.

გადაწყვიტეს: საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდეს 28 ივნისს 12 საათზე.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი